

ნინელი ჭოხონელიძე

-ვით თანდებულნი სახელებით გამოხატული შედარებები რ. ინანიშვილის ენაში

რ. ინანიშვილის პოეტური ენისათვის მრავალფეროვანი მხატვრული ხერხებია დამახასიათებელი. განსაკუთრებით კი უნდა გამოიყოს ტროპის ერთ-ერთი ძირითადი სახე – შედარება.

შედარება ქმნის შესაძლებლობას, რომ ადამიანი ფართოდ მოიხმაროს მეტყველების ყველა მასალა, განსაკუთრებით კი ლექსიკური ფონდის მრავალფეროვნება, – ბუნებისა და საზოგადოების სფეროდან [გვენცაძე 1991: 34]. ვინაიდან მსგავსებითი შედარება ძირითადად მხატვრული მეტყველების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, მისი ანალიზის დროს ესთეტიკური ფაქტორებიც იჩენს თავს, რის შეფასებასაც სტილისტიკის და პოეტურ სფეროში გადავყავართ [კვაჭანტირაძე 1978: 11].

ლ. დუმბაძეს შენიშნული აქვს, რომ რ. ინანიშვილის პროზაში დასტურდება როგორც საკუთრივ ავტორისეული, ორიგინალური შედარებები, ისე ხალხური, ამიტომ შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს ხალხურ მეტყველებაში მოსმენილი ტროპებია, ე. წ. ფრთიანი ფრაზებია, რომლებითაც მწერალმა მოხერხებულად ისარგებლა. გამოიყოფა ასევე შედარებები, რომლებიც ისეთ ორიგინალურ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მანამდე არავის უხმარია, მაგრამ თავისი სტილით, თავისი ასოციაციების ხასიათით (იმ ობიექტით, რომელთანაც ხდება შედარება) ძალიან ახლოს დგას ხალხურ მეტყველებაში დამკვიდრებულ შედარებათა სახეებთან, ისევე როგორც ორიგინალურ, ავტორისეულ შედარებებში [დუმბაძე 1988: 106-107].

მართალია, შედარება სტილისტიკის შესწავლის ობიექტია, მაგრამ რაკი იგი წინადადებაშია მოცემული, ვფიქრობთ, საჭიროა სინტაქსის, ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის მონაცემებიც იქნეს გათვალისწინებული.

ენაში შედარების გამოსახატავად სხვადასხვა გრამატიკული ხერხია გამოყენებული: კავშირები, თანდებულები, ცალკეული სიტყვები. გამოყოფენ ასევე მარტივ, რთულ და უარყოფით შედარებებს და სხვ.

ჩვენ ამჟამად შევხებით **-ვით** თანდებულიანი სახელებით გადმოცემულ შედარებებს, რომლებიც ზმნით გამოხატული მოქმედების განსაზღვრებას წარმოადგენს და წინადადებაში სინტაქსურად ვითარების გარემოებაა. -ვით თანდებულიანი სახელი უშუალოდ ზმნას უკავშირდება, რაც გარკვეული პირობაა მისი დინამიკურობისა, აქტიურობისა და, მაშასადამე, ექსპრესიულობისაც [კოშორიძე 2005: 201]. ვითარების გარემოებათაგან უფრო მოკლე და გაქვავებული გარემოება წინ უსწრებს შემასმენელს, შედარებით გრძელი და ფორმიანი კი – მოსდევს მას [აფრიდონიძე 1986: 123].

რ. ინანიშვილის პროზაში ვითარების გარემოება, ძირითადად – როგორც მოსალოდნელი იყო, პრეპოზიციულია შემასმენლის მიმართ, მაგრამ დასტურდება პოსტპოზიციის შემთხვევებიც, რაც მწერლის ენას თავისებურ, ინდივიდუალურ ხასიათს ანიჭებს. წინადადების წევრთა ამ თავისებური განლაგებით მწერალი ქმნის მისთვის დამახასიათებელ ხელწერას [ჭუმბურიძე 1982: 179].

-ვით თანდებულიანი სახელები შეიძლება შეგვხვდეს როგორც სახელობით, ისე მიცემით ბრუნვაში – გაუვრცობელი და გავრცობილი სახით.

რ. ინანიშვილთან **-ვით** თანდებულიანი სახელების გამოყენების შემდეგი შემთხვევები დასტურდება:

-ვით თანდებულიანი სახელობითბრუნვიან ელიპტირებულ სახელებში ელიფსის მიზეზი ის არის, რომ აღსანიშნი მუდმივად ერთნაირ ასოციაციას იწვევს ენობრივი კოლექტივის წევრის ფსიქიკაში და მსაზღვრელი სიტყვა აღსანიშნის მიმართ მუდმივ მახასიათებლად გვევლინება [კოშორიძე 2005: 160].

არსებითი სახელებით გამოხატული, გაუვრცობელი პრეპოზიციის შემთხვევები:

ჯანდივით შემოხვევია ეს ფიქრი გულზე (შორ. 52, ქვ.6).

ნაბუქივით ასდიოდა სეტყვა (გოლ. 62, 3).

მირაქივით აუჩნდა გვალვისაგან შემზულ ნარშავებისა და გვირების სამეფოში (ალერს. 138, 13).

ცისკარივით ნათობდა ყოველმხრივ (გოლ. 252, 6).

ხატივით გვექონდა დასვენებული ის წიგნი (ასულ. 202, ქვ.5).

ემშაკივით აკრეჭდა კბილებს (ალერს. 102, 26).

ნაპერწკლებივით ცვიოდნენ კალიები (წვეთ. 115, 5).

სფინქსივით მშვიდად იდგა (გოლ. 278, 4).

დაგორდა პურის ნაჭერი თაბახიდან, დაგორდა და, პუკლუზ!
კოჭივით წამოჯდა (მეგობ. 49, ქვ. 1).

ლეკივით ვიჩვევდი ამ აზრს (გოლ. 214, 3).

ლოქივით დგაფუნობდნენ ღურღუღელები და სატრიალო-
ები (გოლ. 164, 11).

ნემსეხივით ეყრებოდა მზის სხივები სახეზე (ასულ. 78, ქვ.6).

ბუმბულვით აღარ მელამუნება სულზე ნიავი (ალერს. 224, ქვ. 2).

გეზელქორივით მოსდიოდი (ასულ. 194, ქვ.2).

ნაილის... **ყუმზარეხივით** გაუშვერია სვიტერში გაჭეპილი ძე-
ძუები (ასულ. 104, 10).

შუქში **მიკრობეხივით** ირეოდნენ თქორის წ ვეთები (ჯაფ.
270, 1).

ქადაგივით ლაპარაკობდა (ასულ. 21, 20).

ია და მზია **ფისუნეხივით** იყურებოდნენ დანა-ჩანგლის ზე-
მოდან (ჯაფ 81, 8).

უცებ სეზარი ადგილს მოსწყდა, ჩადაბლებულ ცხენს **ფოცხვე-
რივით** შეახტა (ასულ. 21, 22).

ეჩვენებოდა, რომ დირექტორთან **ცინდალივით** კნაოდა (გოლ
73, 26).

გოჭებვით დახუსხუსებენ ცივდინგა ზღარბები (ჯაფ. 43, 14).

ცრემლმა **თეზაფივით** ჩამოსწვა ლოყა (ჯაფ. 280, 5).

ტოყე! – **სალამივით** შეაგებებს თამარი (შორ. 71, 1).

ამ ვეება გარინდების ბორბალზე ეს ხმაც **ნართივით** ეხვევა და
ყურადღებას არავინ აქცევს (შორ. 115, 5).

თქორიანი მძიმე ნიავი ხომ **ნართივით** უშხეპავდა სხეულს
(ასულ. 114, 24).

ასე იცის ნიავემა – **კაცივით** გაივლის სიმინდებში, ერთ ხაზზე,
პირდაპირ (შორ. 257, 23).

სიმინდი ღანღალებდა, **პაპიროსივით** ჰქონდა დახვეული
ფოთლები (ალერს. 23, 17).

(ბალახიანი ბელტები)... **სალბუნეხივით** გადააკრეს შიშველ
ადგილებზე (სად. 145, 12).

ჭლექი შეეყარა და ვედარაფერი უშველეს, **სანთელივით** ჩაი-
ლია და ჩაქრა (ალერს. 178, ქვ.6).

თინა... მარჯვენით თითებს **კლავიშებივით** სთვლიდა (წვეთ.
137, 8).

ტროლეიბუსში ასვლისთანავე **ლენჩივით** შეაჩერდა ვილაც მო-
უტეხავშლაპიანი მამკაცი (ჯაფ. 97, 11).

ყოველი სიტყვა **ლურსმანივით** ესობოდა გაიოზს (ტ. I, 65, 1).

დაბალი მურასა მოზვრები უღლით ერთმანეთს აწვებიან და
მათრახებივით მიაშლაპუნებენ ტალახში ამოსვრილ კუდებს
(ალერს. 50, 4, 6).

მათი საწმერთულები **დროშებივით** გაჰკიდა აქ მდგარი ხის
ციხიდან (გოლ. 204, 3).

ტორები ჰქონდა მართლა რა, **ვაშლივით** დაიჭერდა ადამიან-
ნის თავს (ასულ. 200, 24).

თემები **ზღარბებივით** ედგათ (გოლ. 217, 2).

-უუ, სულ **თევზებივით** ალამუნებ ტუჩებს (ჯაფ. 126, 24).

ბებერ წნორს ჩამოხლეჩილი ადგილი **პირივით** დაელო (კეთ.
329, ქვ.4).

ნაკაფ ბორჯღლებზე თოვლი **ბოხოხებივით** დასდებოდათ
(შორ. 63, 3.).

ყინულის პაპა... ილას... ცხვირის წვერს უსრესს, თან იცინის,
ჯამბაზივით ხტის (შორ. 166, 1).

პატა... **ქარბორიასავით** სწრაფად ავარდა კენწეროზე (კეთ. 338, 12).

მწერალი შედარებისათვის ასევე ხშირად იყენებს მარტივ და
რთულსიტყვიან ელიპტიურებულ -**ვით** თანდებულიან მიმღეობებს:

დამფრთხალებივით გამოიჭიატებდნენ ვარსკვლავები (გოლ.
41, 9).

ქალებიც **უსინათლოებივით** აცეცებენ ტაბლაზე ხელებს
(ასულ. 80, 14).

აპარეკას დიაცი **მლოცველივით** უახლოვდება ბუხრის
ცეცხლს (ასულ. 81, 14).

რალაცაზე **დადარაჯებულივით** იცის გამოხედვა (ასულ. 34,2).

დამშალ სელისფერ კლდეზე **განდეგილივით** დაყუდებულა
რალაც ნაგებობა (ცისფ. 191, ქვ.4).

ჩემი მეუღლე განსაცდელიდან **დახსნილივით** მეხუტებოდა –
პატარა, უცხოდ სურნელოვანი ამ ყოფაში (ალერს. 277, ქვ. 2).

მამა ხმას არ იღებდა, **გაგუდულივით** იდგა (გოლ. 231, 13).

გიორგი კიდევ **მოცელივით** ჩაცემულა სვინტრსა და შრო-
შანებში (ცისფ. 67, 17).

ფრთები **მომტვრეულივით** ააფათქუნა (ჯაფ. 252, 3).

რთულფუძიანი სიტყვები: გამოდის, **ნიშანიცემულივით** გამონათდება ყრუ საგალობლით გარემოცული (ალერს. 284, 28).

კიბზე **მუხლებდალილივით** ჩავიდა (ალერს. 287, ქვ. 2).

გაიოზი... **ტყვიანაკრავით** შედგა (ტ. I, 65, 18).

ერთი სველი გუნდა ბასასაც მოხვდა და **ფუტკარნაცემით** დაატრიალა (მეგობ. 114, 19).

კობტა აფხაზი **ცეცხლნაცემით** შეზრიალდა (ტ. I, 167, 9).

თოფდაცემულსავით გამოფხიზლდი (ალერს. 248, 5).

ელიპტირებული **-ვით** თანდებულიანი სახელები მიცემითი ბრუნვის ფორმით რ. ინანიშვილის პროზაში (სახელობით ბრუნვასთან შედარებით) ნაკლებად დასტურდება.

ხან აქ, ხან იქ **ქარბორბალასავით** ავარდება ხმა (გოლ. 142, 14).

კატა... **ქარბორიასავით** სწრაფად ავარდა კენწეროზე (კეთ. 338, 12).

დამურასავით ფათქუნობს ოთახში სიბრაზე, მორჩილება (გოლ. 31, 28).

პატარასავით შეეხვეწე (ასულ. 166, 20).

მოწყვეტილებსავით ამოძრავებდა ხელებს (ასულ. 115, 8).

დრეიმეს **ციებიანსავით** უკაწკაწებდა კბილები (ალერს. 240, 3).

ბეხა კიბის ქვეშ მიჭუჭკულა, **ლოკოკინასავით** მოღუნულა და სთვლემს (მეგობ. 116, 11).

-ვით თანდებულიანი ელიპტირებული სახელები გვხვდება შემასმენლის პოსტპოზიციურადაც როგორც სახელობით, ისე მიცემით ბრუნვაში.

სახელობითი: ორშაბათს მთლად აჭრილი ვიყავი **დომხალივით** (გოლ. 213, 15).

გამოვარდა ქამრის მძიმე ბოლო და შიშველ კანჭის ზემოთ, მოსახარში მიკბინა **გველივით** (გოლ. 229, 17).

შეხვდებით და ავზუზუნდებით **ფუტკრებივით** (შორ. 83, ქვ. 6).

ვიჯექი ციხეში **გამომწყვდეულივით** (ერთ. 55, 7).

წაეხეტები **დაკარგულივით** (ალერს. 285, 5).

ერთხანს იქ ვდგავარ **ჩაკარგულივით** (ასულ. 30, 20).

ქალები გვიყურებდნენ და იმზირებოდნენ **გაუგემურებულე-ბივით** (ალერს. 47, 18).

რიგ შემთხვევაში **-ვით** თანდებულიან პოსტპოზიციურ სახელებთან სახელობით ბრუნვაში შეინიშნება ემფატიკური **-ა**.

წათე ჯოხსაც მიიბჯენდა **ბერიკაცივითა** (ასულ. 17, 15).

გალაზღანდარებულ ხარ შენც ჩვენი **ბედოვლათივითა** (გოლ. 13, 12).

მაგრამ ღორები ხართ, კისერდასუქებული ღორები, ცისკენ ვეღარ აგიხედათ, ერთობა დაიშალაო და აპყვავდით **ნეხვებივითა** (გოლ. 119, 33).

-ვით თანდებულიანი ელიპტირებული სახელები მიცემითში (პოსტპოზიციურად):

მივედი და მხარზე მივეგლასუნე **კატასავით** (შორ. 19, 21).

ვერქავდი და ვაკნაწუნებდი **მზესუმზირასავით** (გოლ. 101, 35).

მირბის ნაკერატალი და მიაქვს ბლუკი, მიათრევს **ნალოსავით** (ალერს. 262, ქვ.4).

ჩემი ცოლი სულ სანთლებს მინთებს **ქრისტესავით** (ასულ. 265, ქვ. 8).

ზოგჯერ ვითარების გარემოებად ზმნა-შემასმენელს უკავშირდება შესიტყვება (მსაზღვრელ-საზღვრული). ასეთ შემთხვევებში პირველი კომპონენტი შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი, ნაცვალსახელი, მიმღეობა:

თვალეები დაუდიდდათ ყელში **აპურწაჭერილ მოზვრებსავით** (ასულ. 79, ქვ. 2).

ქაცვის წვერებზე **თავაწეული ყარაულებივით** სხედან ღაჟოები (გოლ. 232, 13).

წევს თინა გულაღმა და **აფუყული ყვავებივით** შემოსხდომიან აქეთ-იქიდან დედა და დები (ჯაფ. 153, ქვ. 3).

ბებია ცივი სიმშვიდით მომიგებდა – თევზი და ნანადირევი საძლომად კი არა, შვილო, **ყვავილის კონასავით** უნდა მიილოთ (კეთ. 6, 6).

გამოკოკრილ ვარდებს **ძილმორეულ მოხუცებივით** ჩაექინდრათ თავები (ტ. I, 98, 27).

ნიჩბის ტარს დავეყრდნე ბარვით **დაღლილ გლებკაცივით** (ასულ. 269, 10).

შემართული ჩახმახივით იდგა (ტ. I, 55, 10).

შეპარული კაცივით იქცეოდა... თუ, რა თქმა უნდა, ჟინის ჭია

არ ჰყავდა შემჯდარი (ჯაფ. 58, 18).

თავშეკავებული მთვრალივით მიდიხარ ორღობებში (ალერს. 284, 23).

თავმომკვდარუნებული ნადირივით გაიტრუნა (გოლ. 297, 4).

დედაბერი... იჯდა **ახუზული ყორანივით** (ცისფ. 235, 2).

ბიჭები **გახარებული ძაღლებივით** გაგორდნენ თოვლში (შორ. 62, 1).

სახლები **გაქვავებული დარაჯებივით** დგანან (ალერს. 285, 5).

კივ-კივ-კივ! – გამოფრინდა იქიდან კოდალა და **ცეცხლმოკიდებულ კუდაწარასავით** გადაუვლის ხეების კენწეროებს (წვეთ. 4, 10).

გიორგი **გამარჯებული ფალავანსავით** გამოდგა უკან (ალერს. 282, 16).

კეთილოს... როცა ტალახია, კუდი ესვრება და **ახალამოვლებული ჩურჩხელასავით** მძიმედ მოსთრევს უკან (კეთ. 196, 1).

რა შენი საქმეა, რომ მოყევი **ენატარტალა დედაკაცივით** (ჯაფ. 111, 12).

პაპაჩემის ბიძას, სოლომონს ჭვალი დაადგა. ჯერ წელი გაუკავდა **ლეკდადევენებული ქალივით** აკივლა, მერე მთლად დაბლუნდა, გაასაცოდავა (შორ. 217, 25).

გვეშინია, ვაითუ **ყავლგასული ტარანტასავით** დავიშალოთ გზაში (ჯაფ. 208, 30).

ჩემი მეგობარი **ზარფუშახდილი საარყე ქვაბივით** ამოაფრქვევს სათქმელს (ჯაფ. 10, 7).

წავიდა გიგა, **ხნიერი კაცივით** მიიბჯენდა ჯოხს, მიაფხლავუნდება რეზინის ჩექმებს (შველ. 38, 18).

დაჯდა შინ **შავი ყარყუმითა** (ალერს. 237, 5).

აიწვედა **ყომრალი ღრუბელივით** ჩხართვების ერთი გუნდი და გადავიდოდა სხვა ადგილას (გოლ. 128, 14).

ყინულის პაპამ... **კუდიანი ქარივით** გადაუარა ხეებსა და ღობეებს (შორ 167, 17).

ცხენს ფერდები **დიდი საბერველივით** ებერება (წვეთ. 60, ქვ. 2).

მე კი მთელი შემდგომი წლები **უძვირფასეს ავგაროზივით** ვატარებდი თქვენს სიტყვებს (ალერს. 286, 10).

პატარა მხევალივით დავიძინებ მის კართან (ჯაფ. 98, 13).

მწიფე თურაშაულივით უღვიოდა მკვრივი, მრგვალი ლოყები (წვეთ. 114, 20).

დათვი... ზედ იჩოს ფეხებთან გაიშალა **ვეება ბოღჩასავით** (შორ. 246, 20).

ჩვენს ხალხს აი, **ამ თითებივით** ვიცნობ (მეგობ. 70, 22).

წამოდგებიან **ჯაფით დაბეგვილებით**, მოიფუცავენ ხელსა-
ბანთან პირებს (ასულ. 150, 22).

იქით ძემძნარია, ძემძვის ფარები **დაირის ფიფანურებივით**
თრთიან (გოლ. 160, 23).

საბჭოს კედელთან გავიჭიმე **დეკეულის ტყავით** (ალერს 258, 7).

მხატვრულ სახეებს მწერალი ძირითადად **-ვით** თანდებული-
ანი ფორმების (როგორც გაუვრცობელი, ისე გავრცობილი მსაზღ-
ვრელ-საზღვრულის სინტაგმების) მოხმობით ქმნის. აქ კი შემდეგი
შემთხვევები დასტურდება:

-ვით თანდებულიანი მსაზღვრელი სიტყვა ელიპტირებულია,
იგი აღსანიშნის მუდმივ მახასიათებლად გვევლინება:

ორივე **მირონივით ღვინო** იყო (ასულ 106, 4).

თოფმა **მეხივით ხმა** და ცხელი ტყვია იცის (შორ. 182, ქვ. 10).

მამაშენი **მზესავით კაცი** იყო, შენ რამ ჩამოგღრუბლა ბალღოო
(ერთ. 52, ქვ. 11).

გარბოდნენ **ბოკვერებივით მკვრივი**, ხელშუბებშემართული
პატარა ბიჭები და გოგონები (გოლ. 204, 5).

გოგონასავით მორცხვი ბიჭი (გოლ. 285, 21).

ზუჩის აქეთ-იქით **მელიის კუდებივით** დაჰკანკურებდა ბეწ-
ვები (ასულ. 22, 20).

აი, ასე ქნა იმ შენმა **მოლადურივით ბერიკაცმაო** (ალერს.
219, 5).

ამომიფოფინა ის **მაცვალივით თვალეხი** (ალერს. 80, ქვ. 1)

-ვით თანდებულიანი სახელი არსებითთან, ზედსართავთან,
მიმღობასთან ქმნის სინტაგმას:

ბოლოს თითები **აზედივით გამომშრალ**, შედარებით თბილ,
ხეხემა ქერქს შეახო (შორ. 207, ქვ.4).

სულ იქა ვსხედვართ **ადგილის ტურებივით ყურებდაცქვიტი-
ლები** (ალერს. 143, 12)

კუნძოვით შეკრული ოცდასამი წლის ბიჭია (ალერს. 42, ქვ. \$0
ბაყაყოვით გაბეზღვილი წარმომიდაგა თავი (ჯაფ 212, ქვ.7)

სამართებლივით მჭრელი ფიქრი მიწიდან ამოდის თითქოს
(ცისფ. 68, 4).

ბრტყენას **გრიგალივით ასული** ზრო და გაჯაგრული მსხვი-
ლი ტოტები ისე ჰქონდა დაკუნთული, დაკოჭიქებული (გოლ. 247,
23).

ქვეყნის გულისთქმასავით მოსწვდებოდა ზოგჯერ ძაღლის ყე-
ფა შორიდან – ეს იყო და ეს (ტ. I, 72, 1).

ის ხეხილის ტოტებზეც იძენძება, **ხორხომელასავით მკვრივ**
თოვლის ფიფქებს უშენს (ცისფ. 21, ქვ.2).

ხაბარდასავით გაფარფაშებული კაბები და მაღალი, წვრილ-
ქუსლებიანი ფეხსაცმელები აცვიათ (ცისფ. 196, ქვ.4).

პაწაწასავით დამორცხვებული დეა ჩემთან იდგა (გოლ. 196,
33).

ვანო **ექსკურსანტივით გადიმებული** იდგა (ასულ. 85, ქვ.8).

ლურჯ მთებს **ლეჩაქივით გამჭვირვალე** ბურუსი თუ ორთქლი
აქვს გაკრული (ცისფ. 219, ქვ. 5).

სამთითებს... შეაყუდებდნენ ბულულს, ააგლეჯდნენ **ჩრდი-
ლივით გაშლილ** ქალამს ბალახების ცვენით წააფრიალებდნენ ჰაერ-
ში და დააგდებდნენ ურემზე (შორ. 129, 5).

სოსია... მიწაზეა **ტელაპივით გაკრული** (ალერს 224, 6).

გიგო... **მაიმუნივით გაღეჭილი** ზის (ალერს. 117, 13).

აი, ვხედავ **ფალანგასავით შემზარავ** მისი ხელის შავ მტევან-
საც დედის შევერცხლილ საფეთქელთან გატვრენილს (გოლ. 154, 24).

ამაში კი მართალი იყო ის **საჩხრეკივით გამზარი** ქალი
(ალერს. 48, 31).

კვევით მინც იმასაც ვგრძნობ, რომ უკან მაინც არის რაღაც **სა-
ხატებოვით მყუდრო** ადგილები (გოლ. 124, 9).

რათ გინდა ეგ **ჯორივით უნაყოფო** ქალი, რას შეეციცინებ მაგა-
სო (ასულ. 255, 13).

შესიტყვების პირველი წევრი -ვით თანდებულიანი სახელია:
ფრთხილად მივდივართ მის **ლაბირინთივით ვიწრო** ქუჩაში
(ცისფ. 232, 9).

მამიდასავით კეთილთვალეზიანი ქალები ჯერ კიდევ მაშინვე
ომის წინაც აღარ იყო მოდაში (ალერს. 302, 8).

-**ვით** თანდებულიანი მსაზღვრელი სახელი გავრცობილია: გამოიღო დედაგველმა ენის ძირიდან **ნამის წვეთივით** წვრილა-ლა თვალი (ალერს. 298, 16).

იქა ვსხედვართ **ადგილის ტურებივით** ყურებდაცქვეტილები (ალერს. 143, 12).

წახვედით **რომაელი იმპერატორივით** ხელაწეული, ვილაც მა-მაკაცს მისალმებული (ალერს. 286, 4).

მწოლიარე კაცის **კეხიანი ცხვირივით** ამომართული მალლა, მეორე – იალნო, დიდი იალნო (ტ. I, 21, 5).).

ერთი კუნძივით ახმედა ბიჭი (ცისფ. 222, 7).

-**ვით** თანდებულიან ფორმას შეიძლება რამდენიმე მსაზღვრელი მოსდევდეს:

აქეთ-იქიდან **ბროლივით სუფთა, ათახთახებული** წყალი ჩამოუდის (ცისფ. 227, 17).

დაუმატე ამას **კუბრივით მოლაპლაპე შავი ბულულა** თმა, დიდი გიზგიზა თვალები (ცისფ. 196, ქვ. 1).

შეიძლება წინადადებაში შედარების გამომხატველი **-ვით** თანდებულიანი სახელი რამდენჯერმე დასტურდებოდეს:

კალააყრილ **სინივით** აჭრელებული მთვარე ცეცხლის **ალივით** უცთომელი (ასულ. 83, 14).

მერე დააწვენდა და **დათვივით** ბუბნიდა, **კამეჩივით** და-ჭეშვინავდა (სად. 159, 25).

ცხენებს ვეება ფლოქვები, **ტახტივით** ფართო გავა და **კასრივით** დაბერილი ფერდები ჰქონდთ (ტ. I, 261, 1).

ისედაც **ტიკივითა** ხარ გაბერილი, დანჯღრეული **კასრივით** რახრახებ (ტ. I, 61, 29).

ეს დარდი მსხვილი მუქი **წვეთივით** თუ **საყურესავით** ჰკიდია გულის წვერზე და ქანაობს (ასულ. 79, 19).

სანამ აქ გამომიყვანდნენ, ამ ძაღლის **საყელოსავით** დაუნდობელ სოფელში, ქუსლი არ დამიდგია მიწისთვის ფეხისწვერებზე დავდიოდი **დედოფალივით** (ალერს. 22, 11).

ზოგჯერ ერთი და იგივე **-ვით** თანდებულიანი ფორმაც მეორდება წინადადებაში:

ზეთივით ღვინოა, რო სულ **ზეთივითა** პრიალებს ზემოდან (ალერს. 142, 24).

-**ვით** თანდებულის ფორმებს მწერალი იყენებს მხატვრული სახის შესაქმნელად და, შესაბამისად, უფრო კონკრეტულად ადარებს საგნებსა თუ მოვლენებს ერთმანეთს, უფრო მეტ სიმძაფრესა და სიახლეს სძენს მათს მიმართებას.

აფსუს, **ატლასივით სუფთა**, ლოყებაალისფრებულო საპობებო (გოლ. 149, 22).

მთლად შავად შემოსილი, **კვამლივით უხმაუროდ მოძრავი**, ტრიალებდა ცეცხლთან (კეთ. 5, 7).

ძველებური ყუაშავი, გალეული და მაინც **ალმასივით მჭრელი წალდი** უკვე ხელში მიჭირავს, თითქოსდა იმას მივიმდლოლებ წინ (გოლ. 232, 14).

მოვიდა ერთი გაოხრებულიც, **ნაკლულ ტიკკორასავით დაფუკული**, ტუჩებ-გადმობრუნებული (ალერს. 173, 16).

ქალს უნდა უფრთხილდე, შვილო, **ბოლოქანქალასავით მოსიარულე ქალს** (გოლ. 287, 27).

შემოიჩმუჩნა დაბალი ტანის, **ფარცხივით ჩამოშლილ ულვაშე-ბიანი სახე**, დადარული კაცი (ტ. I, 70, 19).

წამოჯდება მაღალი ბალის კენწეროზე შაშვი... მშვიდად, **ოცნებაში წასულივით**, და გალობს და გალობს (შორ. 48, 1).

რ. ინანიშვილის პროზაში ხშირია **-ვით** თანდებულის – ერთი და იმავე შესადარებელ სიტყვათა გამეორება, თუმცა ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად მწერალი მათ სხვადასხვა სინტაქსურ კონსტრუქციებში, განსხვავებულ სიტყვათა შეხამებებსა თუ სხვადასხვა სემანტიკურ ველში აქცევს, შესაბამისად, წინადადებას მეტი გამომხატველობითი ძალა ენიჭება.

ბავშვი: ქვედა ტუჩს, რაღაცის გაუგებრობის ნიშნად, **ბავშვივით** ბუსხავდა (ასულ. 154, 18).

ქართველებიო, რომ გაიგო, **ბავშვივით** გაიხარა (ცისგ. 226, 11).

ბავშვივით დაგვექყანა (ჯაფ. 185, ქვ.5).

ყოველი კვირტი თოთო **ბავშვივით** იღვიძებს (შორ. 32, 15).

ბაირადი: ღრუბელი... ზედ ოცდაათ ივლისს ამოვიდა, მშვიდობის **ბაირადივით** (ალერს. 23, 26).

ჩამოვიდოდა მერე იოსება და დადიოდა მედიდურად გაშლილი **ზაირალივით** (კეთ. 7, 5).

ზარტყი: ემებდა თავის ოქროსფერ, პატარა, ჩაწვეტებულ ძუძუებს და უპატრონო **ზარტყებსავით** ეცოდებოდა (გოლ. 87, 8).

ბუდეში მოფუტფუტე **ზარტყეზივით** უთრთოდა კუნთები (გოლ. 281, 3).

დიდველა **ზარტყეზივით** ერთმანეთს მიჰკვრიან და ჩაყუყუღან, ჩამალულან ბალახებში სველი ბროლა კაკლები (შორ. 152, 6).

აქედან მთლად პატარები ჩანდნენ, დაუბუმბლავი **ზარტყეზივით** ერთმანეთს მიკრულნი დიდი რიყეზე (გოლ. 218, ქვ.9).

ზაყბაყდევი: მამინ ბიბო ერთს ღრმად ჩაისუნთქავს, ლოყებს დაბერავს, და **ზაყბაყდევივით** დააბრიალებს თვალებს (შორ. 49, 12).

ზაყბაყდევივით თვალუმობრიალე ბიჭს კი, აბა, ვინ უნდა დაუდგეს წინ (შორ. 49, 14).

თაგვი: მესამეკლასელი ბიჭი **თაგვივით** ემალებოდათ (გოლ. 238, 8).

ყურები **თაგვივით** ჰქონდა აცქვეტილი (გოლ. 220, ქვ.9).

ბაღლები **თაგვივით** ჩუჩუნებენ კუთხეებში (ასულ. 81, 2).

კელაპტარი: **კელაპტარივით** ენთო უფროსი ქალიშვილი (ასულ. 186, ქვ.4).

ამოიღო მეტრიანი ხანჯალი ტორიანმა, დაიჭირა **კელაპტარივით** სწორად (ასულ. 201, 20).

კალო: პაპა სოლომონი ამოიტანდა სავსე კალათს... გაშლიდა **კალოსავით** (შორ. 241, 3).

ატმები... ფერად-ფერად რომ იყვნენ გადაგრაგნილები, ქვეშ გავლა რომ გვიჭირდა, აღარ ვიცოდით, ფეხის სად ჩაგვედგა, **კალოვით** რომ ჰქონდათ დაგებული ნაყოფი (გოლ. 149, 19).

კაცი: შემოპარული **კაცივით** იქცეოდა...თუ, რა თქმა უნდა, ჟინის ჭია არ ჰყავდა შემჯდარი (ჯაფ. 58, 18).

წავიდა გიგა, ხნიერი **კაცივით** მიიბჯენდა ჯოხს, მიაფხლაკუნებდა რეზინის ჩექმებს (ასულ. 136, 17).

ასე გგონია, ორი ნაბიჯიც და, წამოგიხტება გზაზე შარიანი **კაცივით** ჩაწოლილი ვეებერთელა ქვა (ტ. I, 104, 5).

კატა: სხედან ჩვენსავით დახარებული ჯეილები და **კატეზივით** ილოკებიან მანის ფაფასა და რაღაც ასეთებს (ცისფ. 196, 1).

ბოხვერა **კატასავით** დაიჩხავლა (შორ. 120, ქვ. 5).

კრაზანა: ნამთვრალევი კაცის შავი ფიქრები რომ მესეოდნენ და მესეოდნენ **კრაზანებოვით** (ალერს. 52, 18).

დაესივნენ დარდის ფიქრები, **კრაზანებოვით** კბენდნენ საფეთქლებში (ასულ. 169, 4).

ჩახმახი: შემართული **ჩახმახოვით** იდგა (ტ. I, 55, 10).

ჩახმახოვით წკიპზე შემდგარი ბუნინი (ალერს. 133, 9).

ჩრდილი: დერეფანში **ჩრდილოვით** უხმაუროდ გამოდის წელში მოხრილი დედაბერი (ცისფ. 222, 15).

წყლის ნაპირ-ნაპირ **ჩრდილოვით** უხმოდ ჩამოივლის ყველზე და ყველაფერზე გულარძნილი გადაბენტერებული ძალი (ასულ. 157, 20).

სამთითებს ...შეუგდებდნენ ბულულს, ააგლეჯდნენ **ჩრდილოვით** გაშლილ ქალამს ბალახების ცვენით წააფრიალებდნენ ჰაერში და დააგდებდნენ ურემზე (შორ. 129, 5).

ჩურჩხელა: ეზოში გამართულ ღერძს დაეკიდება... ჰკიდია **ჩურჩხელასავით** და ტოკავს (ასულ. 175, 17).

ისედაც ჩამიჩის **ჩურჩხელასავით** არის ჩახვეწილი (ჯაფ. 18, ქვ. 11).

კეთილოს... როცა ტალახია, კუდი ესვრება და ახალამოვლებული **ჩურჩხელასავით** მძიმედ მოსთრევს უკან (კეთ. 196, 1).

ცრემლი: საღებავი ცივი იყო ბალიშში ჩაჟონილი **ცრემლივით** (ჯაფ. 104, 6).

ერთხელ თვითონ მოუთხრობდა, **ცრემლშეკავებულოვით**, ცხვირჩაჭექყილ მოსეს თავგადასავალს (გოლ. 297, 1).

ძალდი: მამასახლისს სიბერეში გასჭირვებია, მატლი დაჰხვევია და **ძალდივით** ყმუოდა თურმე (ალერს. 151, 11).

ადრე შენი თვალით ნახავდი, სადამო ხანზე მშიერი **ძალდივით** რომ დასუნსულებდა ნიავეწანწალა (სად. 144, ქვ. 4).

ბიჭები გახარებული **ძალღებოვით** გაგორდნენ თოვლში (შორ. 62, 1).

ფოლადი: მართლა ამ „სულის კაცმა“ ჩაასვა ტყვია შიგ **ფოლადივით** მაგარ შუბლში (ცისფ. 234, 7).

ქვემოდან მკაცრად იყურება **ფოლადივით** ცივი თვალებით (ცისფ. 208, 4).

ფუტკარი: შევხვდებით და ავზუზუნდებით **ფუტკრებოვით** (შორ. 83, ქვ. 6).

ერთი სველი გუნდა ბასასაც მოხვდა და **ფუტკარნაცემივით** დაატრიალა (მეგობ. 114, 19).

იყვნენ, აგრეთვე, ტყავისქურქიანი რუსი სტუდენტი გოგოები, რაღაც სასწაულით ყველა ავთვალი, მაგრამ მაინც **ფუტკრებივით** ეხვეოდნენ ხუნძახელი ბიჭები (ცისფ. 213, 6).

ქარბორზალა: ხან აქ, ხან იქ **ქარბორზალასავით** ავარდება ხმა (გოლ. 142, 14).

ქარბორზალასავით მუქად აუვარდათ რაღაც (ასულ. 147, 10).

ქვა: მეგონა, **ქვასავით** წავიდოდა ძირს, მაგრამ ხმაც კი არ ამოულია (ცისფ. 65, 10).

მე **ქვასავით** ვდუმდი (გოლ. 331, 5).

მაგრამ ქვა კაცი იყო და **ქვასავით** ჩუმად წავიდაო (კეთ 63, 21).

ყვავი: წევს თინა გულაღმა და აფუყული **ყვავებივით** შემოსხდომიან აქეთ-იქიდან დედა და დები (ჯაფ. 153, ქვ. 3).

ამ „ყვავს“ მართლა **ყვავივით** შავ, მხრებწამოწეულ, ყრანტალა კაცს, ნამდვილი სახელი ისაკა ერქვა (ასულ. 149, 12).

მდევი: **მდევივით** გახდება ეს ღმერთ-მაღლი ერთ-ორ წლიწადში (ალერს. 533, 16).

ვენახებში **მდევებივით** დამსხდარან ბუმბერაზი კაკლები (მეგობ. 144, 9).

მგელი: ხო, ხო, მართალია, **მგლებივით** ქმარ-შვილი ჰყამს (ცისფ. 179, 9).

ძუ **მგელივით** მიიძურწებოდა ღობის ძირ-ძირ (ალერს. 261,8).

ლეკვი: პაპას... მივეხურხლეთ აქეთ-იქიდან მელიის **ლეკვებივით** (კეთ. 108, ქვ.4).

ლეკვებივით მიძგნიდნენ თხის ხორცს (ასულ. 187, 14).

მაინც ავადმყოფი **ლეკვებივით** ვემახდი ჩემსკენ (გოლ. 228, 1).

მეხი: თოფმმა **მეხივით** ხმა და ცხელი ტყვია იცის (შორ. 182, ქვ. 10).

მეხივით ჩამოვარდება ზარი. მეწისქვილე ჭოჭონაქისკენ წავიდა (ჯაფ. 137, 21).

მიმინო: ხოლო თუ ოთხკედელშუა დაიხელთეს, ყურებს გამოუჭედავენ გასაწვრთნელი **მიმინოებივით** (ცისფ. 183, 14).

პაპა გიორგიმ თქვა: – ეეჰო, **მიმინოსავით** ბიჭი იყოო (შველ. 54, 9).

მიმინოსავით წავგერდებულნი მიაჭენებდა (ალერს. 196, 20).

პატარძალი: ჩქარათ, ქა, რა ახალამდგარი **პატარძლებით** მოსეირნობთ (ალერს. 159, 12).

ძველი ტელეგრიეკა უნდა წაგეფარებინათ და **პატარძალივით** გაბროლებულს ამოიყვანდით ხელდახელაო (ალერს. 48, ქვ.4).

გოგონები დაწვეპილი **საპატარძლოებით** ისხდნენ ერთმანეთის გვერდით (გოლ. 212, ქვ.8).

ბულული: კლდე... წასულია მალა თივის **ბულულივით** წოწოლად (გოლ. 35, 3).

(ანული) აკანკალებული თითებით ისწორებდა შუბლზე ჩამობარდულ **ბულულივით** სქელ თმას (ჯაფ. 71).

დანა: (ცელი) მალე ისე გააფხავა, **დანასავით** გასჭრიდა (გოლ. 8, 5).

თოხი... **დანასავით** მჭრელი (ასულ. 185, ქვ.4).

დარაჯი: სახლები გაქვავებული **დარაჯებით** დგანან (ალერს. 285, 5).

რადაცაზე **დადარაჯებულივით** იცის გამოხედვა (ასულ. 34,2).

ჩიტბატონები შემხმარ ნარებში დარიკრიკებდნენ, ჯიხველები წნორის ხმელ როკებზე ისხდნენ **დარაჯებით** (კეთ. 210, 20).

დენთი: მაშინ კი, როცა გაიგონა – ბევრი ფულები გაქვსო – **დენთივით** აფეთქა (მეგობ. 92, 19).

ბოთლში **დენთივით** არაყი იდგა (ალერს. 47, 5)

დიდი: ბიბო **დიდივით** მიუჯდება მაგიდას (შორ. 49, ქვ.5).

თოთია **დიდივით** ჩხირით აწვალებდა ნაკვერჩხლებს (შორ. 13, 14).

ელდა: **ელდასავით** რაღაც მეცა (მეგობ. 92, 7).

გაცივინებს ქართველი კაცი ცოტა მეტს და იმწუთშივე **ელდასავით** დაჰკრავს – ვაიმე, ცუდად არ ამიხდესო (ჯაფ. 102, 21).

წანწყარა: თეთრულვამა მოხუცი – მოკუზული, ძვალ-ტყავი, **წანწყარასავით** თავაწეული (ალერს. 186, 15)

წანწყარასავით დაქანქალებდა, რომ მოვიყვანეთ, ეხლა თითო ფუთი არტალა აუვა თითო ფეხზედა (ალერს. 515, 20).

ხე: ნიკალა ...ერთხანს **ხესავით** იდგა (ტ. I, 59, 13).

(მუხლები)... ახლა ეს მკლავს, რომ **ხესავით** გამიქვავდა (მეგობ. 97, 11).

ფრთა: მოვა ნავადმყოფარი მზე და მზრუნველი დედის **ფრთასავით** გადაეფარება ყველა გაჭირვებულს თავისი თბილი,

ალერსიანი სხივებით (ჩიტ. 82, 3).

„გაზ-63“... ფრთები დასიცხული ქათმის **ფრთებივით** უთახ-თახებდა (ცისფ. 208, 12).

გორილა: შავი, ბრგე, დახრილი, **გორილასავით** პირქუში,... ჯა-გარა, შეჯანღული ჭკარით (ალერს. 302, ქვ. 10).

ზვინზე, **გორილასავით** დაიბობლება დათო პაპა (ალერს. 535, 12).

ნანახი: მე ის სიზმარში **ნანახივით** მახსოვს (ალერს. 286, 19).

ბომებზე სიზმარში **ნანახივით** ჩამომწკრივებულებიყვნენ თეთ-რი იზოლატორები (ცისფ. 176, 16).

როგორც ზემოდასახელებული მასალა გვიჩვენებს, **-ვით** თან-დებულებიანი სიტყვები ძირითადად არსებითი სახელები და მიმღე-ობური ფორმებია. ასეთ შემთხვევებში მწერალი მიმართავს სოფლის რეალიების აღმნიშვნელ ლექსიკას ძველი და ახლი ქართულის მონაცემთა მიხედვით, ასევე – ხალხურ მყარ გამოთქმებს. დავასახე-ლებთ შედარებისათვის გამოყენებული ზოგი სახელის თემატურ რკალს, ესენია:

მნათობები თუ ბუნების მოვლენები: გრიგალი, მეხი, მზე, მთვარე, ნაბუქი, ქარი, ქარბორია, ქარბორბალი, ღრუბელი, ცისარ-ტყელა, ცისკარი, ჯანდი, თეზაფი...

სითხე-წივთიერებანი: აბედი, ბროლი, კვეცი, კუპრი, ფოლა-დი, ცრემლი, წვეთი...

ფრინველები: არწივი, ბარტყები, ბატი, ბოლოქანქალა, ბულ-ბული, გედი, გეზელქორი, კუდბაწარა, მიმინო, მოლალური, დაბუა ჩიტი, ღამურა, ყვავი, ყორანი, ძერა, წანწყარა...

ცხოველები: ნადირი, აქლემი, დათვი, თრითინა, ფოცხვერი, ყარყუმი, ოთხფეხი, ბოტი, კამეჩი, კვიცი, მოზვერი, ღორი, ჯორი, კატა, ძაღლი, მაიმუნი, გორილა, ბოკვერი, გოჭი, ლეკვები, ფისუნი-ები, ცინდალი...

თევზები, ქვეწარმავლები თუ მღრღნელები: თევზები, ლოქოები, ბაყაყი, გველი, ზღარბი, თაგვი, ლოკოკინა, მატლები, წრუწუნა...

მწერები: ბუზი, კრაზანა, ფუტკრები...

მცენარეულობა (ხილი თუ ბოსტნეული): ვაშლი, თურნაშაული, კომში, მავკალი, მზესუმზირა, კიტრი, ნარი, ლოტოსი...

საკმელ-სასმელი: ბადაგი, დომხალი, თაფლი, ტყლაპი, ჩურ-ჩხელა...

ადამიანის, ცხოველის, ფრინველის, მწერის ნაწილები: მუმტი, პირი, თითი, ფრთა, ბუმბული, ნესტარი, კლანჭი, კოჭი...

სამოსი, სამკაულები, საოჯახო ნივთები: ფართალი, ატლასი, ლეჩაქი, ვუალი, ბოხოხი, ნართი, ძაფი, ჩვარი, ბოლჩა, ნემსები, მაქო, მძივი, ქინძისთავი, საყურე, ცოცხი...

შრომასა და თავდაცვასთან დაკავშირებული ლექსები: ყუმ-ბარა, ბომბი, საფანტი, ჩახმახი, დენთი, ბაზმა, აბედი, მათრახი, დანა, სალესავი, საჩხრეკი, სამართებელი, საგველა, საბერველი, კასრი, დროშა, ბაირადი, ციხე, ბულული, კალო, ჩეჩქი, აბები, სალბუნი, ნაპერწკალი, კვამლი...

რელიგიური წეს-ჩვეულებების აღმნიშვნელი სიტყვები: ავგაროზი, კელაპტარი, მირონი, სანთელი, სეფისკვერი, სახატე, ანგელოზი, ქრისტე...

ეროვნების აღმნიშვნელი და ადამიანთა საკუთარი სახელები: ლეკი, არაბი, მარუსიას გადაბმულების ბიჭი, რომაელი იმპერატორი, არაკჩევის ჯარისკაცი, გლახა ჭრიაშვილი, ვარანცოვ-დაშკოვი, ვანუა...

როგორობის სახელები: პატარა, დიდი, პაწაწა, ცოფიანი...

ნაცვალსახელები: იმათსავით, მათსავით, ჩვენსავით ...

დასტურდება ასევე მარტივი და რთული მიმღეობური ფორმები: დადარაჯებული, მოწყვეტილები, დამფრთხალები, მოცელილი, გაგუდული, დახსნილი, გამხდარი, ნანახი, კბილატკიებული, მუხლებდაღლილი, ტყვიანაკრავი, ცრემლშეკავებული, ცეცხლნაცემი, ნიშანმიცემული...

მყარი გამოთქმები: ყვავილის კონა, მელიის კუდები, საარყე ქვაბი, ბუხრის ცეცხლი, ცალპირი ნაკერი, მელიის ლეკვები, დეკეულის ტყავი, კალოს ცხენი, ადგილის ტურები, კენწეროს ბლები, ცის გახსნა, ხატის ნიში, კეხიანი ცხვირი, სადუღრის ძირი, ყრუ-მუნჯი, თევზის ქერეჭი, ყინულის ლოლუა, ცეცხლის ალი, კლდის ნატეხი, ნამის წვეთი, შუბის წვერი, ბავშვის თვალები, მაგნიტური ველი, ძაღლის საყელო, ბელურის ბღარტი, დედილოს ლავაში, შემოპარული კაცი, მშვიდობის ბაირადი, დაირის ფიფანურები, ლეკდადევნებული ქალი, აფუყული ყვავები, ანეულის გუთანა, თივის ბულული, კახელი მედოლე, ღელის წყალი, აზრის მოზიარე, ქვეყნის გულისთქმა, ოქროს მარცვლის პოვნა, ჭკუაზე გადასული, მარჯვენა თვალის აფრენა, თოფდაცემული საქმე, ოცნებაში წასული...

რა თქმა უნდა, დასახელებული მაგალითებით არ ამოიწურება რ. ინანიშვილის პროზაში დადასტურებული **-ვით** თანდებულიანი შედარებები, მაგრამ ერთი რამ ნათელია: შედარება მწერლის მხატვრული ენის ერთ-ერთი ძირითადი ტროპია, რომლის მეოხებითაც, ერთი შეხედვით, ყველასათვის ნაცნობი ლექსემებით, წინადადებებში მათი სხვადასხვა სიტყვასთან შეხამებით მწერალი აღწევს იმ განუმეორებელ მხატვრულობასა და რიტმს, რომლითაც გამოირჩევა მისი – კლასიკურ სიღრმეს ზიარებული პოეტური სამყარო.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1986 – შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბილისი.

გვენცაძე 1991 – ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკა, თბილისი.

დუმბაძე 1988 – ლ. დუმბაძე, მწერალი და მისი სამყარო (რ. ინანიშვილის პროზა) თბილისი.

კვაჭანტირაძე 1978 – თ. კვაჭანტირაძე, მსგავსებითი შედარება ქართულში, თბილისი.

კოშორიძე 2005 – ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

ჭუმბურიძე 1982 – ზ. ჭუმბურიძე, სიკეთით სავსე ქვეყანა, მაღლი დედაენისა, თბილისი.

წყაროები

ალერს. – ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.

ასულ. – მთვარის ასული თბ., 1987

გოლ. – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989.

ერთტ. – ერთტომეული, თბ., 1981.

კეთ. – კეთილი მიწა, თბ., 1984.

- მეგობ.** – მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958.
- მოთხრ.** – მოთხრობები, თბილისი, 2007.
- საღ.** – საღამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1973.
- ტ. I** – თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1953-1968.
- შველ.** – შველი ზამთრში თბ., 1986.
- შორ.** – შორი თეთრი მწვერვალი თბ., 1976.
- ჩიტ.** – ჩიტების გამომზამთრებელი, თბ., 1978.
- ცისფ.** – ცისფერი გორგალი, თბ., 1968.
- წვეთ.** – წვეთები ფოთლებზე თბ., 1962.
- ჯაფ.** – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

Nineli Chokhnelidze

Similes with the Postposition *-vit* in R. Inanishvili's Language

Summary

The paper deals with similes with the postposition *-vit* in R. Inanishvili's prose that are syntactically modal adverbs and therefore closely related members with a verb. They can be found as syntagms in a sentence where they may take a position of either of an adherent or an antecedent. In R. Inanishvili's prose the repetition of the same similes with the postposition *-vit* is frequent but in order to avoid the monotony the writer uses them in various syntactic constructions, with different words and semantic fields and thus gives a sentence huge expressive power.